ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 03.04.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 004/23

შეკითხვა:

საადვოკატო ბიუროს, იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ცოლ-ქმარმა. მეუღლეებს საერთო ინტერესის მისაღწევად დასჭირდათ ფორმალურად, სასმართლო წარმოებაში პროცესუალური მოწინააღმდეგეების სტატუსის მორგება. ერთი და იგივე საადვოკატო ბიუროს სხვადასხვა ადვოკატმა იურიდიული მომსახურეობა გაუწია თითოეულ მეუღლეს დავაში, სადაც ერთი მოსარჩელეს, ხოლე მეორე მოპასუხის სტატუსით გამოდიოდა. უშუალოდ პროცესზე მხარეები თავად გამოცხადდნენ და ზეპირსიტყვიერადაც დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები. ერთ ბიუროში მომუშავე ადვოკატების მხრიდან მსგავსი ქმედებით დაირღვა თუ არა პროფესიული ეთიკა?

ანალიზი:

ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.3).

ადვოკატს არ აქვს უფლება შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი 8.2)

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტისათვის კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა ვერ მიიღწევა მაშინ, როდესაც ადვოკატს, ორი ან მეტი კლიენტის დაცვისას, იმავვე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეზე, კლიენტთა ურთიერთგამომრიცხავი მიზნებით, წამოეშვება ინტერესთა კონფლიქტი.

პროფესიული ეთიკის კოდექსით, ერთ საადვოკატო ბიუროზე ინტერესთა კონფლიქტის გავრცელება, გულისხმობს ადვოკატის ინტერესების შეუთავსებლობის გავრცელებას მთლიან ბიუროზე, რადგან არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატებს მარტივად მიუწვდებათ ხელი ერთმანეთის საქმეთა ინფორმაციებზე, რა დროსაც, ბიუროს ორ კლიენტს შორის ინტერესების დაპირისპირებისას, კლიენტების კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვისა და მათი ინტერესებისთვის ზიანის მიყენების მაღალი რისკი ჩნდება. ერთი ადვოკატის ინტერესთა კონფლიქტის მთლიან ბიუროზე

გავრცელება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კოლეგები ინაწილებენ შემოსავალს, რეპუტაციას და სამომავლო პერსპექტივებს.

კონკრეტულ შემთხვევაში შეკითხვაში აღწერილი ფაქტებიდან იკვეთება, რომ პროცესუალურად ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს, საერთო ინტერესი აქვთ, ხოლო მათ საადვოკატო მომსახურეობას ერთი ბიუროს ორი ადვოკატი უწევს. მიუხედავად იმისა რომ მხარეებს საერთო ინტერესები შეიძლება გააჩნდეთ, ისინი კონკრეტულ სასმართლო წარმოებაში დაპირისპირებული საპროცესო ინტერესების მატარებლები არიან, შესაბამისად ადვოკატებს წარმოეშვებათ ინტერესთა კონფლიკტი.

დასკვნა:

მიუხედავად იმისა, რომ პროცესუალურად ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს, საერთო ინტერესი აქვთ, იმის გათალისწინებთ, რომ მათ საადვოკატო მომსახურეობას ერთი ბიუროს ორი ადვოკატი უწევს და ისინი კონკრეტულ სასმართლო წარმოებაში დაპირისპირებული საპროცესო ინტერესების მატარებლები არიან, ადვოკატებს წარმოეშვებათ ინტერესთა კონფლიკტი.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.